ოქმი N 9

ხობის მუნიციპალიტეტის მეოთხე მოწვევის საკრებულოს საპროცედურო საკითხთა

კომისიის სხდომის

ქ. ხობი

2018 წლის 30 ივლისი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. თეა გელანტია
2. აბელი ქირია
3. გიგა ნასარაია
4. მზია ლემონჯარია
5. შადიმან ჭილაია
6. მერაბ ფილიპია
7. გია წულაია

სხდომას თავმჯდომარეობდა თ. გელანტია - კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2018 წლის 11 ივლისის N04/3111 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის იანვარ - ივნისის შესრულების ანგარიშის შესახებ" ანგარიშის მოსმენის თაობაზე);

   (მომხსენებელი: თ. გელანტია - საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

2. ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელის ვ. გაბედავას 2018 წლის 17 ივლისის N03/3227 წერილის განხილვა:
   - „ხობის მუნიციპალიტეტში უმწეოთა სასადილოში ბენეფიციარების შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის N10 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე" დადგენილების პროექტის შესახებ;
   - „ხობის მუნიციპალიტეტში უმწეოთა სასადილოში ბენეფიციარების შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტის შესახებ;

   (მომხსენებელი: თ. გელანტია - საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

3. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2018 წლის 23 აპრილის N04/1886 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №67 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის შესახებ);

(მომხსენებელი: თ. გელანტია - საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

4. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის და ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივნის ლ. შამათავას 2018 წლის 30 ივლისის N79/03 განცხადების განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2018–2019 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე).

(მომხსენებელი: თ. გელანტია - საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5, წინააღმდეგი-არც ერთი

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

სხდომის თავმჯდომარე შემოვიდა წინადადებით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები შეტანილ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი საკითხების ბიუროს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7, წინააღმდეგი-არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი საკითხები შეტანილ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე თეა გელანტია